ვიზუალური განრიგის გამოყენება ინტელექტუალური დარღვევის მქონე მოსწავლეებთან

მარი ერაძე

სალომე პაიჭაძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე სპეციალური განათლების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

სპეციალური განათლება

სამეცნიერო ხელმძღვანელი : თინათინ ჭინჭარაული

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2023

მადლობა

მადლობას ვუხდით სსიპ ქალაქ თბილისის ერთ- ერთ საჯარო სკოლას კვლევაში ჩართვისა და აქტიური თანამშრომლობისათვის სკოლის დირექტორს, სპეციალურ მასწავლებელს, კლასის დამრიგებელს, მშობელსა და მოსწავლეს.

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორები, ვაცხადებთ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩვენს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

მარი ერაძე

სალომე პაიჭაძე

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს პრაქტიკის კვლევის ანგარიშს თემაზე: ვიზუალური განრიგის გამოყენება ინტელექტუალური დარღვევის მქონე მოსწავლეებთან. აღნიშნული კვლევის მიზანი იყო განგვესაზღვრა რამდენად ეფექტური იყო ვიზუალური განრიგის გამოყენება ინტელექტუალური დარღვევის მქონე მოსწავლეებთან. ვიზუალური განრიგი ფართოდ არის აღიარებული როგორც პერსპექტიული სტრატეგია კოგნიტური დარღვევების მქონე პირების დასახმარებლად, ყოველდღიური რუტინის, ამოცანების გაგების გასაუმჯობესებლად და დამოუკიდებელი ფუნქციონირების ხელშესაწყობად. კვლევა მოიცავდა ოთხ ეტაპს: დიაგნოსტიკური ფაზა, ინტერვენციის დაგეგმვა, განხორციელება და შეფასება. სპეციალურ მასწავლებელსა და საგნის მასწავლებელს უნდა შეემუშავებინათ ვიზუალური განრიგი, რომელიც მორგებული იქნებოდა მოსწავლის ინდივიდუალურ საჭიროებებსა და შესაძლებლობებს. ამ გზით ხელი შეეწყობოდა ინტელექტუალური დარღვევის მქონე მოსწავლის დამოუკიდებლობის ხარისხის გაზრდას. პრაქტიკის კვლევის პროცესში გამოყენებული იქნა თვისებრივი კვლევის მეთოდი - საგნის მასწავლებელთან სიღრმისეული ინტერვიუ და მოსწავლის ფუნქციურ უნარ-ჩვევებზე დაკვირვება. მიღებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე, საგნის მასწავლებელმა და სპეციალურმა მასწავლებელმა ერთობლივად შეიმუშავეს და განახორციელეს ის ინტერვენციები, რომელიც ხელს შეუწყობდა ინტელექტუალური დარღვევის მქონე მოსწავლის დამოუკიდებლობის ხარისხის გაზრდას. ინტერვენციის ანალიზის შედეგად, გამოიკვეთა მოსწავლის დამოუკიდებლობის ხარისხის ზრდა ვიზუალური განრიგის გამოყენებით. ბოლოს, შემუშავდა რეკომენდაციები, რომელთა გათვალისწინებით გაიზრდება ვიზუალური განრიგის ეფექტურობა ინტელექტუალური დარღვევის მქონე მოსწავლესთან. კვლევის ბოლოს წარმოდგენილია მიგნებები, დასკვნები და შეზღუდვები.

საკვანძო სიტყვები: ვიზუალური განრიგი, ინტელექტუალური დარღვევა , ინტერვენცია, ყოველდღიური რუტინა, დამოუკიდებლობა, საგანმანათლებლო გარემო

Abstract

Pervious The paper is a practice research report on the topic: Using visual schedules with students with intellectual disabilities. The purpose of this study was to determine how effective the use of visual schedules was with students with intellectual disabilities. Visual schedules are widely recognized as a prospective strategy for helping individuals with cognitive impairments to improve understanding of daily routines, tasks, and promote independent functioning. The study included four phases: diagnostic phase, intervention planning, implementation and evaluation. The special education teacher and the subject teacher had to develop a visual schedule that would be in agreement with the individual needs and abilities of the student. In this way, it would be facilitated to increase the degree of independence of a student with an intellectual disability. In the process of practice research, the qualitative research method was used - an in-depth interview with the teacher of the subject and the observation of the student's functional skills. Based on the analysis of the received information, the subject teacher and the special teacher together have developed and implemented the interventions that would contribute to increasing the degree of independence of the student with intellectual disabilities. As a result of the analysis of the intervention, there was an increase in the degree of independence of the student using the visual schedule. Finally, recommendations were developed to increase the effectiveness of the visual schedule for students with intellectual disabilities. At the end of the study, findings, conclusions and limitations are presented.

Key words: visual schedule, intellectual disorder, intervention, daily routine, independence, educational environment.